საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/56

ქ. ბათუმი 08 მაისი, 2023 წ.

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და აუდიტორიებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის N124 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლისა და ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 0 23 0000510220, 08.05.2023) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და აუდიტორიებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების შესახებ” ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის №124 დადგენილების დანართში №2-ში შევიდეს ცვლილება და მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტექნოლოგიური ფაკულტეტი

1) №414 აუდიტორია - ილიას დარბაზი.
2) №208 ლაბორატორია - პროფ. კობა უსტიაშვილის სახელობის.
3) №410 აუდიტორია - აკად. მამია გოგოლიშვილის სახელობის.
4) №302 აუდიტორია - პროფ. რევაზ სტურუას სახელობის.“

2. დადგენილება და წინამდებარე დადგენილების საფუძველზე მომზადებული ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის №124 დადგენილების კოდიფიცირებული ვერსია გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის

დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს,

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი

მერაბ ხალვაში